ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №786367

ნომერი: AR1144559

თარიღი : 09.07.2013

გაცემის თარიღი : 12.07.2013

გაცნობის თარიღი : 20.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გუჯაბიძე პ/ნ 01024019678
- თბილისი საბურთალოს ქ. N 36 ბ. 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა #129-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.14.02.025.127) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ და მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ტერიტორიის სამშენებლო განვითარება. იმ შემთხვევაში, თუ გნებავთ შეთანხმებულ გრგ–ში ცვლილების განხორციელება, სამსახურს განაცხადით უნდა მომართოს ორივე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან ორივე მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე უნდა მოხდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გაუქმება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 09 ივლისს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა შესაბამისი მოთხოვნის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 11 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაყენებული ახალი მოთხოვნა საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.